ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

08 დეკემბერი 2025

MOH 5 25 01407943

საქართველოს პარლამენტს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის თავისუფლების შესახებ.

2025 წლის 1 იანვრიდან 8 დეკემბრის მდგომარეობით სულ შემოსულია 243 განცხადება, დაკმაყოფილდა 200 მოთხოვნა, საქმისწარმოება მიმდინარეობს 43 განცხადებაზე, უარი მოთხოვნაზე არ გაცემულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემა, სადაც ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება და შენახვა. ხსენებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება. ასევე, სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია მატერიალური სახით.

სამინისტროს მიერ ხორციელდება, სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემთა მოპოვება/დამუშავება/განზოგადება, აგრეთვე სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებისა და რისკების შესწავლა, ანალიზი, სათანადო დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება. იდენტიფიცირებული რისკების გაზიარება, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება სამუშაო ფორმატში, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ შესაბამის უწყებებთან, შესაბამისად, 2025 წლის მდგომარეობით პერსონალური მონაცემების მე-3 პირისთვის გადაცემა არ ფიქსირდება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, დისციპლინური სახდელების დადებას ადგილი არ ჰქონია.

2025 წელს, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ გაცემულა, შესაბამისად გასაჩივრებასა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი
მიხეილ სარჯველაძე